საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დანილოვის ელჩობა

დანილოვის ელჩობა, კახეთში 1585, რუსეთის სამეფოს ელჩობა კახეთის სამეფოში.

1585 ასტრახანის ვოევოდამ რუს. მთავრობის მითითებით კავკასიაში გამოგზავნა ელჩობა, რ-საც მეთაურობდა რუსი დიპლომატი, ასტრახანელ მეთოფურთა ასისთავი, თარჯიმანი რუსინ დანილოვი.

დ. ე-ს ევალებოდა შეესწავლა საქართველოსაკენ მომავალი გზები და თვით ქვეყანა. ელჩებმა კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს გადასცეს რუს. მეფის თედორე ივანეს ძის წერილი, რ-ითაც იგი მეფეს *პოლიტ.* კავშირსა და მფარველობას სთავაზობდა.

ალექსანდრემ, ელჩების რჩევით, რუსეთში საპასუხო ელჩობა გაგზავნა იოაკიმე მღვდლის, კირილე ბერისა და ჩერქეზ ხურშიტას შემადგენლობით.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967.

ვ. მაჭარაძე